ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.10.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/15

შეკითხვა:

ადვოკატის მიერ დაირღვევა თუ არა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი კონსულტაციას და/ან სამართლებრივ დახმარებას (მაგ. განცხადების, ადმინისტრაციული საჩივრის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სარჩელის მომზადება) გაუწევს კლიენტს იმ ოთახში, რომელშიც ადვოკატისა და კლიენტის გარდა იმყოფება ერთი ან ერთზე მეტი მოქმედი საჯარო მოსამსახურე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ და იცოდნენ ადვოკატის მიერ დასახული სამართლებრივი სტრატეგია?

ანალიზი:

ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3.1 მუხლი:

„ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა...“

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს ადვოკატს უფლებას საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი.

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №094/11 დაადგინა: „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება ადვოკატის ქცევის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული მომწესრიგებელი აქტების შესაბამისად. ამიტომ, ადვოკატი ვალდებულია მისი ქმედებები, მათ შორის კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევა ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარება განახორციელოს ისე, რომ არ გაასაჯაროვოს კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კლიენტი ამ ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს არსებული თანამშრომლობისა და ნდობის ფაქტორის მიზეზით, შესაბამისად, ადვოკატმა საკუთარი მოქმედებით უნდა გაამართლოს კლიენტის ნდობა.

ადვოკატმა, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს, რომ არ დაირღვეს კონფიდენციალობის პრინციპი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ, შეკითხვაში მითითებული გარემოებების არსებობისას, ადვოკატი წინასწარ შეუთანხმდება კლიენტს, რომ კონსულტაცია თუ სხვა სახის სამართლებრივი დახმარება განხორციელდება სწორედ შეკითხვაში აღნიშნულ პირობებში (ოთახში ადვოკატისა და კლიენტის გარდა იმყოფება ერთი ან ერთზე მეტი, მოქმედი საჯარო მოსამსახურე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ და იცოდნენ ადვოკატის მიერ დასახული სამართლებრივი სტრატეგია) და კლიენტი ინფორმირებულ თანხმობას განაცხადებს, მიუხედავად არსებული პირობებისა, განხორციელდეს სამართლებრივი კონსულტაცია, ადვოკატი თავიდან აირიდებს პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლო საფუძვლის არსებობას.

დასკვნა:

კონფიდენციალურობის პრინციპი ვრცელდება ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, შესაბამისად, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტის მიერ მიწოდებულ ასეთი სახის ინფორმაციაზე მესამე პირებს ხელი არ მიუწვდებოდეს. თუმცა, თუ კლიენტი, წინასწარი შეთანხმების ფარგლებში, ინფორმირებულ თანხმობას განაცხადებს სამართლებრივი კონსულტაციისა თუ სხვა სახის დახმარების მითითებულ პირობებში განხორციელების თაობაზე, ადვოკატს უფლება გაქვს განახორციელოს წარმომადგენლობა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/